საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1688 2019 წლის 29 ივლისი ქ. თბილისი

2019 წლის რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ

1. დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ღვინის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), საქართველოში 2019 წლის რთვლის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – რთვლის საკოორდინაციო შტაბი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. დაევალოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული რთვლის

საკოორდინაციო შტაბის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კანდიდატურების წარდგენა სააგენტოსათვის.

3. ეთხოვოთ ახმეტის, გურჯაანის (გარდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ქ. გურჯაანისა და შემდეგი სოფლებისა: ვაჩნაძიანის, კალაურის, შაშიანის, ვაზისუბნის, მუკუზნის, ველისციხის, ახაშენისა და ჩუმლაყისა), დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ამბროლაურისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებს, უზრუნველყონ, სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებს – მათ მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად, ყურძნის ჩამბარებლებზე ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობების გაცემა.

4. ყვარლის მუნიციპალიტეტისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის ქ. გურჯაანსა და შემდეგ სოფლებში: ვაჩნაძიანში, კალაურში, შაშიანში, ვაზისუბანში, მუკუზანში, ველისციხეში, ახაშენსა და ჩუმლაყში მოწეული ყურძნის ჩაბარება/მიღება რთვლის მიმდინარეობისას განხორციელდეს მხოლოდ მევენახეობის შესაბამის მიკროზონებში სააგენტოს მიერ გაცემული მევენახეობის კადასტრის ამონაწერის საფუძველზე.

5. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ღვინის კომპანიებში ყურძნის ჩაბარების პროცესში ადგილებზე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოება.

6. ღვინის კომპანიები, რომლებსაც აქვთ განზრახული ყურძნის მიღება-გადამუშავება, ვალდებულნი არიან:

ა) გაიარონ რეგისტრაცია ელექტრონული ფორმით რთვლის საკოორდინაციო შტაბში;

ბ) უზრუნველყონ ღვინის კომპანიების არანაკლებ 10 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტით აღჭურვა;

გ) ყურძნის მიღება-გადამუშავება განახორციელონ:

გ.ა) სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული სასწორებით აღჭურვილ საწარმოში;

გ.ბ) ყურძნის ჩამბარებლის მიერ ყოველი პარტიისათვის ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცნობის წარდგენის, ხოლო ამ განკარგულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მევენახეობის კადასტრის ამონაწერის ერთჯერადად წარდგენის შემთხვევაში.

7. ღვინის კომპანიების მიერ ყველა კატეგორიის ღვინის წარმოება დასაშვებია მხოლოდ რთვლის საკოორდინაციო შტაბის მიერ აღრიცხული ყურძნისაგან.

8. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების: „ქინძმარაულის“, „მუკუზნის“, „ყვარლისა“ და „ახაშენის“ დასამზადებლად განკუთვნილი საფერავის ჯიშის ყურძნის მოსავლიანობა 1 ჰა ვენახიდან განისაზღვროს არა უმეტეს 10 (ათი) ტონის ოდენობით, ამ მაჩვენებელს ზევით მოწეული ყურძენი დასაშვებია, გამოყენებულ იქნეს სხვა კატეგორიის ღვინოების წარმოებაში.

9. ეთხოვოთ ღვინის კომპანიებს, უზრუნველყონ ყურძნის ყოველდღიური მიღების განზრახვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება რთვლის საკოორდინაციო შტაბისათვის.

10. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ხვანჭკარის“ დასამზადებლად, „ხვანჭკარის“ მიკროზონაში მოწეული „ალექსანდროულისა“ და „მუჯურეთულის“ ჯიშის ყურძნის გადამუშავება და ღვინის წარმოება შესაძლებელია როგორც „ხვანჭკარის“ მიკროზონის ფარგლებში, ასევე აღნიშნული მიკროზონის ფარგლებს გარეთაც, საქართველოს ტერიტორიაზე.

11. ეთხოვოთ ღვინის კომპანიებს, მოახდინონ ყურძნის გადამუშავების შედეგად დარჩენილი ჭაჭის გამოხდა ან მისი სხვა სახით გამოყენება/განადგურება და არ დაუშვან მისი ფიზიკური პირისთვის/პირებისთვის გადაცემა.

12. ეთხოვოთ თვითმმართველი ქალაქების აღმასრულებელ ორგანოებს, 2019 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ადგილების გამოყოფა.

13. ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს მის მმართველობაში არსებული სს „აკურის“ (ს/კ: 231165583) მიერ 2019 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

14. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოზე არ გავრცელდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები და მიეცეს თანხმობა, რომ 2019 წლის პირველი აგვისტოდან 2019 წლის პირველ ნოემბრამდე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – ღვინის ეროვნული სააგენტოსათვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №174 განკარგულების პირველი პუნქტით სააგენტოს დამხმარე ამოცანების შესასრულებლად განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გარდა, დამატებით განსაზღვროს არა უმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) ერთეულით, რომელთა ანაზღაურება უნდა განხორციელდეს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის – „რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**